

## განისაზღვროს ადგილობრივი მოსაკრებლის განაკვეთები შემდეგი ოდენობით:

ა) მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის:

ა.ა) ქალაქ ბათუმის ცენტრალურ ზონაში:

ა.ა.ა) ახალი მშენებლობისას სამშენებლო დოკუმენტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართის 1 კვ.მ.-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ა.ა.ბ) შენობა-ნაგებობებზე ახალი სართულ(ებ)ის დაშენების, ან არსებული სართულ(ებ)ის დემონტაჟისას დაშენებული ან/და დემონტირებული ერთი სართულის ფართობის (გარე პერიმეტრიდან) 1 კვ.მ.-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ა.ა.გ) შენობა-ნაგებობის ნებისმიერი სართულის განაშენიანების ფართობის შეცვლისას დამატებული განაშენიანების ფართობის 1 კვ.მ.-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ა.ა.დ) ექსტერიერის (შენობის ფასადის, სახურავის) არქიტექტურული ნაწილების/ელემენტების გაზარტების ან/და არქიტექტურული ნაწილების/ელემენტების, კონსტრუქციების, ტექნიკური საშუალებების დამატება/მოკლების, ასევე, ფასადის მასალისა და ფერის შეცვლისას რეკონსტრუირებული საანგარიშო ზედაპირის ფართობის (სახურავის რეკონსტრუქციისას მისი ფუძის ფართობის) 1 კვ.მ.-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ა.ა.ე) შენობის ინტერიერში ან/და ექსტერიერში მზიდ კონსტრუქციაში ღიობის გამოჭრისას ღიობის ფართობის 1 კვ.მ.-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ა.ა.ვ) მზიდი ელემენტების რეკონსტრუქციის დროს მზიდ კონსტრუქციასთან დაკავშირებული საანგარიშო ჰორიზონტალური სიბრტყის 1 კვ.მ.-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით. თუკი რეკონსტრუქცია ეხება რამდენიმე სართულს, მოსაკრებელი გაიანგარიშება მხოლოდ ერთი სართულის საანგარიშო ჰორიზონტალური სიბრტყის მიხედვით;

ა.ა.ზ) ქსელების რეკონსტრუქციის დროს რეკონსტრუირებული შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართობის 1/5-ის 1 კვ.მ.-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ა.ა.თ) დემონტაჟის დროს დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართობის 1 კვ.მ.-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ა.ა.ი) ლანდშაფტური მშენებლობის დროს განაშენიანებული ფართობის 1 კვ.მ.-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ა.ა.კ) დროებითი შენობა-ნაგებობის მონტაჟი/განთავსების დროს შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართობის 1 კვ.მ.-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

ა.ა.ლ) მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დროს სამშენებლო ტერიტორიის (არხის) ერთ კვადრატულ მეტრზე 1(ერთი) ლარის ოდენობით.

ა.ა.მ) მიწისზედა ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დროს ხაზობრივი ნაგებობის ერთ გრძივ მეტრზე 0,40 (ოროცი თეთრი) ლარის ოდენობით.

ა.ბ) ქალაქ ბათუმის შუალედურ ზონაში მშენებლობისას 1 კვ.მ.-ზე 0,9 (ოთხმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით (საანგარიშო ფართობი გამოითვლება ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა.“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით), ხოლო მიწისზედა ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დროს ხაზობრივი ნაგებობის ერთ გრძივ მეტრზე 0,30 (ოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით;

ა.გ) ქალაქ ბათუმის პერიფერიულ ზონაში მშენებლობისას 1 კვ.მ.-ზე 0,8 (ოთხმოცი თეთრი) ლარის ოდენობით (საანგარიშო ფართობი გამოითვლება ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა.“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით), ხოლო მიწისზედა ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დროს ხაზობრივი ნაგებობის ერთ გრძივ მეტრზე 0,20 (ოცი თეთრის) ლარის ოდენობით.

ა.დ) ქალაქ ბათუმის საკურორტო ზონაში (ცენტრალური ზონის განსაკუთრებული ქვეზონა) სამრეწველო ობიექტის ახალი მშენებლობისას სამშენებლო დოკუმენტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართის 1 კვ.მ-ზე 5 (ხუთი) ლარის ოდენობით;

ა.ე) იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია მოიცავს რეკონსტრუქციის რამდენიმე სახეს ერთდროულად, მაშინ მშენებლობის მოსაკრებლის გადახდა ხდება მხოლოდ ერთი სახის რეკონსტრუქციისას დადგენილი მშენებლობის მოსაკრებლის ოდენობით, მათგან რომელიც მეტია.

### **ინსტრუქცია** **მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის** **გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ**

ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. იგი განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის (მიღების) და მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.

#### **მუხლი 1. მოსაკრებლის განაკვეთი**

მშენებლობის მოსაკრებლის განაკვეთი კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრება წინამდებარე დადგენილებით.

#### **მუხლი 2. მოსაკრებლის გაანგარიშების წესი**

მოსაკრებელი გამოანგარიშება ობიექტის პროექტით განსაზღვრული განაშენიანების ფართის (კვადრატულ მეტრებში) გადამრავლებით მოსაკრებლის განაკვეთზე. გამონაკლისია მიწისზედა ხაზობრივი ნაგებობები, რომელზედაც მოსაკრებლის ოდენობა გამოანგარიშება ხაზობრივი ნაგებობის გრძივი მეტრების მიხედვით. ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის ნებართვაზე ამ დადგენილებით განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობა მოიცავს როგორც ხაზობრივი ნაგებობის, ისე ხაზობრივი ნაგებობის მიწის ზედაპირიდან დამჭერი ბოძების ან/და კონსტრუქციების განთავსების მოსაკრებელსაც და ხაზობრივი ნაგებობის მიწის ზედაპირიდან დამჭერი ბოძების ან/და კონსტრუქციების განთავსებაზე ცალკე მოსაკრებელი არ გადაიხდევინება.

#### **მუხლი 3. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება**

1. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებულია სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ ობიექტთა აღდგენითი სამუშაოები.

2. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) მიერ განხორციელებული მშენებლობები.“

#### **მუხლი 4. მოსაკრებლის გადახდაზე კონტროლი**

მოსაკრებლის თანხების ბიუჯეტში სწორად და დროულად გადახდაზე კონტროლს ახორციელებს ქალაქ ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური.

#### **მუხლი 5. სხვა დებულებანი**

ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკრებულოს დადგენილებით.

**დამტკიცებულია:**

„ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოდების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს დადგენილება №1-5, 2007 წლის 30 იანვრი

**შეტანილია ცვლილებები:**

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს დადგენილება №31, 2011 წლის 21 ივნისი  
თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს დადგენილება №29, 2012 წლის 21 მაისი  
თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს დადგენილება №41, 2012 წლის 16 ივლისი  
თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს დადგენილება №44, 2012 წლის 27 ივლისი  
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №42, 2014 წლის 10 ნოემბერი